№ 78 22 თიბათვე, ოთხშაბათი 1866—1877 22 თიბათვე, ოთხშაბათი № 78

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციისა: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ყოველ დღე სამშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—ასო 1 კაპ., მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ოფიციალური)

ბრძოლის ველიდამ

მაცრა, 20 ივნისს. აი მოკლე აღწერა ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვის ატრიადის მოძრაობისა:

8 ივნისს ატრიადი დაინძრა **Ყარსიდამ**, შემოიარა **ჩახლაური**, სამავათი და **Ararartანი**; 9-ს გაიარა **ხოფანლი**, **Ურგახლიუ**, **სუსუს**, **ბეღლი-Ახმედ**, **ზემო-ქატანლო** და **Ანხიარი**; 10-ს გაიარა **Აიაგარზე**, **ფარსადანზე**, **ზირზამაზე**, **ქირხ-ბულახზე** და **სარიყამიშზედ**. 11-ს ატრიადი გადავიდა **სოღანლუღის** მთებზე **მელიდიუზში** და **ზემო-მეჯინგერთში**; 12-ს აქ დაბანაკებულნი იყვნენ.

13-ს ატრიადი გაემგზავრა **ქვემო-მეჯინგერთით ზივინისაკენ**, სადაც იყო შვიდი საათის განმავალობაში ბრძოლა მტერთან, რომელიც ძალიან გამაგრებულ ადგილებში—**ზივინის** მთებზე—იყო დაბანაკებული. **ბრძოლა** ბინდისას გათავდა. 14-ს ატრიადს უჭირავს **სოღანლუღის** გასავალი. **Არზრუმიდამ Ყარს** მიმავალ **Იზმაილ-ფაშას** ატრიადს გზა შეკრული აქვს.

ლონდონი, 17 (29) ივნისს. **საზოგადოებათა პალატის** დღევანდელს სხდომაზედ მმართებლობას ჰკითხეს იმ ბარბაროსობაზე, რომელიც ვითომ **რუსის** ჯარს ჩაედინოს **ქავკასიაში**. **უცხო** ქვეყნის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა **ბორკმა** ამ კითხვაზე უპასუხა, რომ **ოსმალოს** ელჩმა **მუზურუს-ფაშამ** წარუდგინა იმას ამ ბარბარისობის შესახებ **სტამბოლიდამ** მიღებული დეპეშები; მაგრამ, რადგან **ინგლისის** მმართებლობას **ქავკასიაში** სამხედრო აგენტი არა ჰყავს, ამის გამო ის ვერ იტყვის—თუ რამდენად ნამდვილია ეს ამბები.

ათინა, 17 ივნისს. **საბერძნეთი** და **ოსმალეთი** მოთავსდნენ იმ **უთანხმობაში**, რომელიც ჩამოვარდა ამათ შორის იმის გამო, რომ ბერძნებმა მოიტაცეს **ქორფუში** ოსმალოების სამხედრო მასალეები. **საბერძნეთმა**, ოსმალოს მთავრობის მთხოვნისა-თანავე, **დაუბრუნა** საქონელი.

საბერძნეთის ფინანსთ მინისტრმა **დელიგეორგისმა** დეპუტატების პალატაში წინადადება შეიტანა, რომ მმართებლობას 40 მილიონ დრახმის სესხის აღების უფლება მიენიჭოს.

ომის ამბები

აზიის ბრძოლის ველიდამ

გაზეთს „Indépendance Belge“-ში დაბეჭდილია **სტამბოლიდამ** მიღებული **შემდეგი** დეპეშა:

„**აქ** დარწმუნებით ამბობენ, **რომ** **რუსეთის** ჯარი დამარცხებულა **ვანის** ტბის მახლობლად და **ბაიაზეთამდინ** წინ გაურეკნია. **ამბობენ** აგრეთვე, **რომ** **ბაიაზეთში** დაყენებულს **რუსის** ჯარს გარს **შემოერტყნენ** ოსმალოებიო (ქურთებიო) და იძულებულ ჰყვესო, **რომ** დამორჩილებულიყვნენო; ამ ნაირად **ბაიაზეთი** ამ ჟამად ისევ ოსმალოების ხელში არისო.

ამავე გაზეთში ნემეცურის **„ქელნის გაზეთიდამ“** მეორე **უფრო** **უსაფუძვლო** და ძნელად **დასაჯერებელი** ცნობაა **მოყვანილი**, **რომელიც** **პარიჟელ** **კორრესპონდენტს** **უცნობებია** **ზემოხსენებულ** **გაზეთის** **რედაქციისათვის**:

„**პარიჟის** **რუსებში** **გავრცელებულია** ხმა, ვითომც **ქავკასიაში** ხალხის აჯანყება თან-და-თან **მატულობს**. **რუსები** **ამაგრებენ** **ამ** **ჟამად** **სხვა** **და** **სხვა** **ალაგებს** **სამეგრელოში** **და** **აგრეთვე** **საზოგადოთ** **ქუთაისის** **გუბერნიაში** **იმ** **განზრახვით**, **რომ** **მტერი** **არ** **შემოუშვან**, **თუ** **ვინიცობაა** **Ციხის-ძირთან** **მიმდგარმა** **რიონის** **ატრიადმა** **ვერ** **იხეირა**, **ვერ** **შეაჩერა** **მტერი**.“

ინგლისური **გაზეთიც** **„Globe“** **გვარწმუნებს**, **რომ** **ბაიაზეთი** **ამ** **ჟამად** **ისევ** **ოსმალოს** **ჯარის** **ხელში** **ჩავარდაო**; **ამის** **წართმევის** **დროს** **რუსების** **მხრით** **2,000** **კაცამდინ** **დაიჭრა** **და** **და** **დაიხოცაო** (?). **ეს** **გაზეთი** **იმასაც** **ამბობს**, **რომ** **ვანის** **ტბასთანაც** **დაამარცხეს** **რუსებიო**.

მეორე **ინგლისურს** **გაზეთს** **„Daily Telegraph“**-ში **შემდეგი** **დეპეშებია** **დაბეჭდილი** **მცირე** **აზიის** **ბრძოლის** **ველიდამ**:

„**ა რ ზ რ უ მ ი**, 8 (20) ივნისს. **რუსები** **დელი-ბაბას** **არ** **გასცილებიან**. **ბავრცელებულია** **ხმა**, **ვითომც** **მუხთარფაშა** **ისევ** **უკან** **აპირებდეს** **დაბრუნებას**. **შამილის** **შვილი** **ძლიერის** **კავალერიით** **დევებუიონში** **არის** **დაბანაკებული**.

„**დ ე ლ ი-ბ ა ბ ა**, 9 ივნისს. **მუხთარფაშა** **ეს** **არის** **დიდ-ძალი** **ახალი** **ჯარით** **მოვიდა** **აქ**. **ჯარი** **ძალიან** **მხნეთ** **არის** **და** **მოუთმენელად** **მოელის** **მტერთან** **შებმას**.

„**ს ტ ა მ ბ ო ლ ი**, 8 ივნისს. **ამბობენ**, **აქ** **მოვიდა** **ამბავიო**, **ვითომც** **რუსის** **ჯარი** **დაემარცხებინოსთ** **ოსმალოებს**. **ბაიაზეთი** **დაუჭეფია** **ოსმალოს** **ჯარს**.

პეტერბურღისა **და** **მოსკოვის** **გაზეთებში** **შემდეგი** **დეპეშაა** **დაბეჭდილი** **მაცრადამ** **14** **ივნისს** **გაგზავნილი**:

„**8** **ივნისს** **ღენერალ-ადიუტანტი** **ლორის-მელიქოვი** **Ყარსიდამ** **სოღანლუღისაკენ** **წავიდა**. **11-ს** **ის** **თავის** **ჯარით** **სოღანლუღის** **მთებზე** **გადავიდა** **მელიდჰუზთან**. **იმ** **ღამეს** **ჩვენი** **ჯარი** **ზემო-მეჯინგერტთან** **დაბანაკდა**.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

უცხო **ქვეყნის** **და** **რუსულს** **გაზეთებში** **დაწერილებით** **არის** **აწერილი** **პირველად** **რუსის** **ჯარის** **გადასვლა** **დუნაიზე**. **ამ** **აღწერიდამ** **ეტყობულობთ**, **რომ** **ორი** **დღის** **განმავალობაში** **გაუდვიათ** **დუნაიზე** **რუსის** **ჯარებს** **ხიდი** **მთელს** **სიგრძეზე**. **პირველად** **ბალაციდამ** **6,000** **კაცი** **რუსის** **ჯარი** **გადასულა** **და**, **ფიცხელი** **ბრძოლის** **შემდეგ**, **ამათ** **უკუ-უქცევიათ** **3,000** **ოსმალოს** **ჯარი**, **რომელიც** **დუნაის** **მარჯვენა** **ნაპირზე** **დახვედრიათ**, **და** **აუღიათ** **მაჩინის** **სიმაგრე** **და** **რამდენიმე** **სოფელი**. **ბაცხარებული** **ზარბაზნების** **სროლა** **შეჰქნეს** **თურმე** **ამ** **დროს** **ოსმალოების** **ბატარეიებიდამ**, **მაგრამ** **რუსის** **ჯარის**, **თით-**

ქო აქ არაფერიაო, მხნეთ მიდიოდა წინ ნავებზედ. მართალია, ბევრი დაიხოცა რუსების მხრით, მაგრამ იმათ თავის წადილი მაინც შეასრულეს: გადავიდნენ დუნაიზე.

ბრაილოვში და ბალაცში დამზადებული იყო 35,000 კაცი, რომელიც, პირველი ატრიადის გადასელისა-თანავე, უნდა გადასულიყო აგრეთვე დუნაიზე.

—

ნემეცური გაზეთი „„Neue Freie Presse“ გვაცნობებს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ოსმალომ დიდ-ძალი ჯარი მოაგროვა ნიკოპოლთან, სისტოვოსთან და ნოვოსელოსთანაო. მკითხველმა იცის, რომ ბრაილოვს გარდა, დიდ-ძალი ჯარი რუსისა სისტოვოსთან გადასულა კიდევ დუნაიზე.

—

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან, რომ 14 ივნისს მთელ დუნაის ნაპირებზე საშინელი თოფისა და ზარბაზნის სროლა იყოვო.

—

ამავე გაზეთში დაბეჭდილია ვენიდამ მიღებული დეპეშა, რომ „მადლობა ღმერთს, ექვსი დღის გაუწყვეტელ ბრძოლის შემდეგ, ჩერნოგორიელებმა დაამარცხეს სულეიმან-ფაშა მდ. ზეიდთანაო

ამავე ბრძოლაზე „პეტერბურღის უწყებებში“ რაგუზიდამ მიღებული დეპეშაა დაბეჭდილი, რომელიც აგრეთვე გვაცნობებს, რომ ჩერნოგორიელებს მართლა დაუმარცხებიათ სულეიმან-ფაშა და ისე, რომ ის თავის ჯარით ნიკშიცსა და სპოჟის გასაველს ველარ მიადგებაო. ამ ექვსი დღის ბრძოლის განმავალობაში ოსმალოების მხრით 10,000 კაცი არის დახოცილი და დაჭრილიო (?).

საქართველო

დღიური

*** თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში წელს 14 ყმაწვილ კაცს შეუსრულებია კურსი. ამათში 7 სომეხია, 6 რუსი და ქართველი.... გვრცხვენია ვთქვათ... მხოლოთ ერთი.

*** ერთის ჩვენი ოზურგეთელის ხელის-მომწერისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი კერძო წერილი, რომლის დაბეჭდასაც ჩვენ საჭიროდ ვთელით და რომელიც ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოყვანილს ონელ ხელის-მომწერის ამბავს მოგვაგონებს:

„ამ პატარა ბარათს გიგზავნით იმისთვის, რომ საჭიროა თქვენც იცოდეთ რაები ხთება აქაურ ფოჩტაში ვინც თქვენს გაზეთს იწერს, თუ ყველას ასე ემართება, დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია გამომწერისთვისაც და, რასაკვირველია, გაზეთისათვისაც. ალბათ ჭგონიათ ზოგიერთს გამომწერს, ვითომ თქვენ არ გზავნიდეთ თავ-თავის დროზე გაზეთს.

„ამ 1877 წლის პირველ იანვრიდამ მე მივიღე შემდეგი ნომრები თქვენის გაზეთისა და დანარჩენი თქვენ იფიქრეთ სად უნდა იყოს: №№ 3, 5, 6, 7, 9, 12, 15, 16, 21 25 27, 29, 35, 36, 41, 42, 51, 52, 54.

„აი, ესენი გახლავს მთელი ამ წლის გაზეთები! რა იმედი უნდა ჰქონდეს, ვინც სოფელში ცხოვრობს და ვინც არ იცის კარგათ გაზეთისა და ფოჩტის მდგომარეობა? თავს დაანებებს, მა რას იზამს.

„აქ ფოჩტალიონს, როგორც ნამდვილად გავიგე, პოლიციაში მიაქვს გაზეთი და გამომწერის დანიშნულ კაცს არ აძლევს; ჩვენ ვთხოვეთ ფოჩტალიონს, რომ გადაეცა გაზეთი ჩვენგან დანიშნულ კაცისათვის, მაგრამ უარი სთქვა: ჩემი ვალი არისო, პოლიციაში გადავსცეო!“

*** ჩვენ გვითხრეს, რომ უფ. ფოტოგრაფს მირუმოვს გარდაუღია პირველად სურათი ქსნის ერისთვის შალვასი, სრულიად-საქართველოს მეფის არჩილ მეორისა და ქახთა დედოფლის ქეთევანისა. ამ სურათების მნახველი გვარწმუნებს, რომ ჩინებულად არიან დახატულიო.

*** ერთი ახალი ქართული წიგნი იბეჭდება, კრება შაირებისა და სასიმღერო ლექსებისა; ამ წიგნის სახელი—„შაირ-სიმღერები“.

*** ამ ორშაბათ ღამეს, ბულვარზე, „პარიჟის“ სასტუმროს წინ მოჰკლეს ლოგინში მწოლე ერთი კინტო, რომელიც ქუჩის ტროტუარზე იწვა თურმე.

*** ბაზ. „ივერიის“ უკანასკნელ (15 ნომერში დაბეჭდილია შემდეგი წერილი:

„ერთი გურული ქალი არა უმეტეს 15 წლისა ან.... ლ.... ძისა იმერეთში თ. ნესტორ ერისთავთან მდგარა მოსამსახურედ. ამისი ალღო აუღია თფილისში ერთს დედა-კაცს ნატ....ა...ნას, რომელსაც ქალის უმანკოება და სილამაზე თავის ცხოვრების წყაროდ გაუხდია. ეს დედა-კაცი თვითონ წასულა იმერეთს, უცდენია ის გურული ქალი, პირობა მიუცია ოღონდ ქალაქში წამოდიო და ხუთს თუმანს ჯამაგირს მოქცემო, ოთხ ხელს ტანისამოსს შეგიკერავ წელიწადშიო, გიპატრონებ და გაგათხოვებო. ბურული ქალი მოტყუებულა და წამოჰყოლია ქალაქს.

„ქალაქში ჩამოყვანის შემდეგ, ეს დაპირება გაქარწყლებულა.. საწყალს გურულს ქალს უგრძნია, რომ მის თავზედ კარგი საქმე არ მოდის, მაგრამ რა ექმნა. ზნეობის მდევნელს დედა-კაცს დაუკეტნია საწყალი ოთახში, რომელიც სარდაფიც რომ ვიანგარიშოთ, მესამე სართულშია (ეტაჟაში) და ყარაული დაუყენებია, რომ ეს დედა-კაცი წავიდოდა თურმე სადმე, იმ გურულის ქალის ოთახს გარედამ კლიტეს ადებდა. ამ ყოფით გაუტარებია საწყალს გურულს ქალს ერთი კვირა.

„6 ამ თვეს, საღამოს მეცხრე საათზედ ხელოსანს დედა-კაცს ორი თათარი მიუყვანია, დაუწყვია ეაჭრობა და ბოლოს დაჰპირებია საწყალის გურულის ქალის ნამუსის გაყიდვა. უპატრონოს, ილაჯ გაწყვეტილს ქალსა შეუტყვია ეს თუ არა, ნამუსით სიკვდილი უმჯობებია უნამუსო ცხოვრებას, გაუღია მესამე სართულიდამ ფანჯარა, და ურარაოდ, შიშველი გარდმოვარდნილა ძირს. შესწევნია ღმერთი რალაც მოსდებია და იმას თაუჭერია, თორემ სულ დაიმსხვრეოდა საწყალი. ძირდაცემისვე უმალ გულ გადაფითრებული წამოვარდნილა და იქვე ავეტიქ ივანეს ძეს ტერ-აბრამოვის სახლში მივარდნილა და ,უხვეწნია: „მიშველეთ მყიდიან!... ვინა ხართ ქრისტიანი, მეც მონათლული ვარ, ნუ დამკარგავთ, დამმალეთ სადმე თქვენი ცოლშვილის სადღეგძელოთ!“

ამ სიტყვების გამგონს ავეტიქ ივანეს ძეს ტერ-აბრამოვს გული დასწვია და შემწეობა მიუცია მით, რომ მაშინვე პოლიციაში გამოუცხადებია და თვით ქალიც იქ მიუყვანია. უნცროს პოლიცმეისტერს უფ. ალიხანოვს გულმტკივნეული მონაწილეობა მიუღია და ყოველი საჭირო ცნობა ამ საზარელის დანაშაულობისა შეუკრებია და თფილისის უფროსის პოლიცმეისტრის მერკლინგისათვის წარუდგენია, რომელსაც სამსჯავროო მოხელეთათვის გარდაუცია.“

ექ. ხელაძე.

„დროების“ კორესპონდენცია

თელავი, 14 ივნისს. დიდოს სოფლის ასაჰყოს აჯანყების შემდგომ, ჩვენი ჯარები არიან დაბანაკებულნი ამ სოფლის არე-მარეში და ცდილობენ მათს დამშვიდებას.

თერთმეტს ამ თვისას თიანეთის მაზრის დროებითმა დრუჟინამ, რომელიც არის იმავე მიზნისათვის დადგენილი სხვა ჩვენს ჯარებთან, შენიშნა რავდენიმე სული რქიანი საქონელი დიდოელებისა და სთხოვეს აღნიშნულის ჯარის უფროსს თავადს ბიორგი ჯორჯაძეს ნება იმ საქონლის მოტაცებაზედ. მიიღეს რა ამაზედ ჯეროვანი ნებართვა დრუჟინის ხალხმა, მსწრაფლად ჩამორეკეს თავის ბანაკში ლეკების საქონელი.

მცირედს ხანს შემდგომ მოვიდნენ უ. ჯორჯაძესთან რავდენიმე პირნი დიდოელები და სხვა და სხვა ტკბილი და მორჩილის სიტყვებით დააჯერეს ის, რომ

ისინი არაფერს მთავრობის წინააღმდეგობაში არ ურევიან და სთხოვეს მოტაცებული ძროხების დაბრუნება. თავ. ჯორჯაძემ დაუბრუნა სრულიად საქონელი; მხოლოდ ორი სული შეისყიდა მათგანვე ფულით ჯარისათვის საჭმელად.

იმ ღამეს, როდესაც ჩვენს ჯარს და თითქმის ყარაულებსაც ტკბილათ დასძინებოდათ, განთიადისას, ლეკები, რიცხვით 150-მდე კაცი, უცებ დაეცა ბანაკს და უსროლელათ გამოსჭრეს ყელები რავდენსამე კაცსა; ბოლოს როგორც იყო ერთმა ჩვენმა ყარაულმა შეიტყო ლეკების დაცემა და გაცალა თოფი. თოფის ხმაზედ მრთელი ჯარი ფეხზედ დადგა უცებ და შეიქმნა სროლა. ამ სროლაში ჩვენის მხრით არის მოკლული და დაჭრილი 31 კაცი; სხვათა შორის ორი თავადიშვილი: ქოტე ჩერქეზოვი, რომელსაც მოხვდა ტყვია თვალში და გავიდა თავის ქალაში და იმ წამსვე სული განუტევა, და სოსიკო ჯორჯაძე, რომელიც დასჭრეს ფერდში და იოცხლა მხოლოდ შუადღემდის.

ადგილი, სადაც ეს ამბავი მოხდა და სადაც სდგას ჩვენი ჯარები, ამ ყვარი გახლავსთ: ორს მხარეს თვალ ჩაუწვდენელი კლდე; მესამე მხრიდგან ტყიანი და მეოთხეს მხრიდგან, საითაც არის გამართული მდინარეზედ ხიდი—არის მთა. სწორეთ ამ მთიდგან ჩამოვიდა ლეკი, რადგანაც სხვა გზა არ ჰქონდათ და ისე გამოვიდა ხიდსა, რომ ხიდს გაღმა მყოფმა ყარაულებმა ვერ შეიტყეს. თუ ყარაულებს ასე ტკბილათ ეძინათ უთოფოთ იმ იმედით, რომ იმავე დროს სძინებიათ იმათს უფროსებსაც.

ისმის მხოლოდ ქება იქიდგან თიანეთის უეზდის უფროსის თ. ქ. ჩ—სა, რომელიც მრთელს ღამეს თურმე ფეხზედ არის და ამხნევებს თავის დრუჟინას. მაგრამ საკვირველია, რომ ლეკების ჩამოპარვა ვერ შეუტყვია. იქნება რომ სხვა მხარეზედ იდგა სადმე ეს ჩ. და იმისთვის ვერ შეუტყვია....

ეხლა კი ძალიან მღვიძარეთ არიან, მაგრამ ეს ერთი საქმე ლეკების მხრით უნდა დაღვით დააჩნდეთ გულში დიდ ხანს.

ყოველივე აქ აღწერილი ეკუთვნის სიტყვითი-სიტყვამდე ორს პირს, რომელნიც თავის შესახებს საქმეზედ იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზედ და გვიამბეს ყოველივე თელავში დღეს. ლეკების მხრით სჩანს მოკლული სამი კაცი.

თელაველი

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ინგლისის საზოგადოებაში, და არა მარტო ინგლისში-ევროპაშიაც, დიდი მღელვარება მოუხდენია იმ ხმის გავრცელებას, ვითომც სამინისტროს განზრახვა ჰქონდეს, პალატაში წინადადება შეიტანოს, რომ ნება მიეცეს ორი მილიონის გირვანქა სტერლინგის სესხის აღებისა.

ამ გარემოებამ იმიტომ ააღელვა ქვეყანა, რომ ყველას გონია, ინგლისის მმართებლობა ომიანობის საჭიროებისთვის იპირებს ამ ფულის მოხმარებასაო.

საფრანგეთი

სენატში, ნაციონალურ ქრების დათხოვნაზე მოლაპარაკების დროს, სხვათა შორის, ვიქტორ ჰიუგოს უკითხავს მინისტრის დე-მოსთვის:

— როგორ მოიქცევა პრეზიდენტი მაკ-მაჰონი, თუ რომ მომავალი კენჭისყრით საფრანგეთის ხალხმა ისევ რესპუბლიკელი პარტიის მომხრეები ამოირჩია ნაციონალურის ქრების დეპუტატებათაო?

მინისტრს უთქვამს, რომ ამ კითხვაზე პასუხის თქმა მხოლოდ თვითონ მაკ-მაჰონს შეუძლიან, სხვას არავისაო.

— სწორეთ ამ გვარი პასუხი მომცა მე 1851 წელს მინისტრმა ბარუშმაო, სთქვა ვიქტორ ჰიუგომ, როდესაც მე ამისთანავე კითხვა მივეცი იმას. და შესანიშნავია, რომ სამის თვის შემდეგ ამ გარემოებისა, 2 დეკემბერს, ლუი ნაპოლეონმა მოახდინა „coup d'état“, სისხლის ღვრითა და ღალატით ჩაიგდო ხელში საფრანგეთის ბედი.“

— „რეტერის აგენტობას“ სწერენ პარიჟიდამ:

„სახალხო განათლების მინისტრს გარდაუწყვეტია, რომ ის სტუდენტი, რომელიც ან თანდასწრებით და ან რამე გვარი მოქმედებით მანიჭესტაციებში მონაწილეობას მიიღებს, იქნება გამორიცხული იმ სასწავლებლიდამ, რომელშიაც ის სწავლობს.“

ამ განკარგულებიდამ ადვილათ მიხვდება მკითხველი, რომ საფრანგეთის ეხლანდელს კლერიკალურ მმართებლობას ახალგაზდობის ეშინიან. მაშასადამე ეს ეხლანდელი მმართებლობა გრძნობს რომ ახალგაზდობას, სტუდენტობას ხალხში განვლენა ძალა აქვს.

— ერთი ფრანცუზული გაზეთი „Le Réveil du Dauphiné“ სამართალში მიეცა იმისათვის, რომ იმაში დაბეჭდილი იყო ვაჭრების ადრესი მარშალს მაკ-მაჰონთან, რომელშიაც ეს ვაჭრები უჩივოდნენ საფრანგეთში ვაჭრობისა და საზოგადოთ აღებ-მიცემობის დაცემას ამ უკანასკნელს დროში. თვითონ-ის ოთხმოც-და-ხუთი კაცი, რომელთაც მოაწერეს ხელი ადრესზე, სამართალში მიეცა.

წერილი რედაქტორთან

ბატონო მეგაზეთე!

ჩვენმა ნაბატონარმა წეგვიკითხა თქვენი გაზეთი; ძალუან ამბები წერებულა; მარა მისთანა ჩემ გულს არ გახარებია ჩვენი სოფლის სახელი რომ იყო ნახსენები.

ერთი საწყალი გლეხი-კაცი გახლავარ, მცხოვრები ს. ტოლას. ქაი სოფელი გახლავს ეს ტოლა: კარგი ღვინო, კარგი პური მოგვდის და სულს იმითი ვიბრუნებთ. მარა იმისთანა შენ მტერს, რაც ჩვენ საქმე დაგვემართა ამ წლებში: ისეთი ნაკლები წელი გახლდათ, რომ პური და ღვინო კი არა, მჭადიც ქე გამოგველია.

მცხოვრები, ბატონო, ჩვენ სოფელს სულ კაი ასხია: თავ-დაბალი, კაცის აუწყინარი, მარა რეგვნები გახლავართ, არ გვესმის არაფერი, გაკეთებას რომ მოველოდეთ იმისთანა საქმე გვირჩიონ, არ დაუჯერებთ; ჩვენ ნაბატონარს თუ რასმეს დეეკითხებით, თვარა კაცი პატრონი არა გვყავს.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ სოფელში ბანკი გავხსენით. ეს ბანკი, ბატონო, პირველათ ჩვენ ძალიან გვაშინებდა, გადასახადათ დაგვედებოდა გვეგონა; ჩვენ ნაბატონარს რომ არ ერჩიოს, მიდღეჩი ნანუკაშვილს ჩვენში ამ საქმის გამართვა არ შეეძლო; მარა ეს ხუთი წელიწადია, რომ ჩვენმა ნაბატონარმა და მისმა ნათლულმა გვირჩიეს თვითო დორა ღვინოს გლეხზედ მოუყარეთ ერთათ თავიო, ეს ღვინო გაყიდეთო, ფულათ აქციეთო, ეს ფულები ვასარგებლოთო. ბაიარა კაი ხანმა და ჩამოვიდა ნანუკაშვილი; მოგვცა ქაღალდი ხელშიდ და გვითხრა, ეს არძა არიო, მერე რუსულათ დაბეჭდილი წიგნი, წესდება არიო, იმაზედაც ხელი მოგვაწერინა. სულ ორმოცი კაცი გახლდით, მერე საღაც წავიდა, მაისის თვეში იმან და ჩვენმა ნაბატონარმა დაგვიბარეს ჩვენ ხელის-მომჩერლები, და ამ დღიდამ დაიწყო ბანკი.

რო კაი საქმე იყო ყველამ შეეატყვეთ, მარა მაინც უკან ვიწევდით და მანამ ფულები არ დაგვჭირდა და არ ვივალეთ, ეჭვი გვოქნდა; ახლა კი იმდონი გასძელი, რამდონიც იმათ ლოკავდეს. ქაი რამე ყოფილა, ბატონო, ეს ბანკი.

მარა თავდებობამ კი სწორებით გაგვიჭირა საქმე: რაც უნდა შემძლებელი

ბლეხი იყო, ლარიბზედ მეტს როდი განდობენ და თითეულ ოც მანეთში თავდებს გვთხოვენ.

ჩვენმა ნაბატონარმა ერთხელ კიდო გეიბრძანა, მალაზია ძალუან კარგი გაქვთო, შკოლაო, ბანკიო, ერთი კიდო გაკლიათო და თუ დამიჯერებთო, ურიებსაც მოგაშორებსო ჩემი ნათლულიო. —შართალი ვიღასგან ვივაჭრო-თქვა? ბეიბრძანა, თქვენი საკუთარი ზიარი დუქანი რო გექნებათო, ფართალიც ბევრი იქნება და საწერიმალოცაო; სამჯობინო მითი იქნებაო, რომ მოგება ეხლა რომ ურიებს მიაქვთ, მაშვინ თქვენ დაგრჩებათო, და უმფრო ეფათაც დაგიჯდებათო ყოველი სავაჭროვო; მარა ჯერ ბანკს უყურებს სოფელი, თუ ბოლოსაც ასეთი სასარგებლოი იქმნა, როგორც ეხლა, მაშვინ დუქნის გამართვაზედაც დაეთანხმებით, თუ კაი წელიწადიც დაგვესწრო.

ამ სამმა წელიწადმა ავათ მოგვკიდა ხელი. თუ წრეულსაც არ მოგვაშველა მოსავალი, შიმშილით ამოვიხოცებით. ღმერთი თუ გვიშველის, თვარა ბანკსა და დუქანსა კი არა, თავსაც დაგვავიწყებს; მარა წნეულს პურები აგერ საცა არის შემოვიდა და კაი დაგემართოს კარგიც არის. ვენახსაც კაი პირი უჭირავს, ლამაზი ამიდები უდგია და თუ დასცალდა, ქვეყანა გაძღება.

Ყარამან ლომთაძე

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი — ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფი., ქიუჩარიანცი — ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

პრისიაჭნის პოვერენი
რიმსკი-კორსაკოვი
კისრულობს საქმეების წარმოებას, არზების დაწერას და აძლევს დარიგებასა.

სალდათის ბაზარი, ლიუტერანთ საყდრის სახლი. (4—4)

ისყიდება ქვემო-მოყვანილი **ქართული წიგნები:**

1) ერთი წლის „საქართველოს მოამბე“ ყდაში, 2) ზეოგრაფია საქართველოსი მეფე ვახუშტისა, 3) მიწერ-მოწერა ქართველთ მეფეებისა რუსეთის ხელმწიფეებთანა, 4) ჩუბინოვის დიდი ქართული, რუსული და ფრანცუზული სლავარი, 5) ძველი აღთქმა, ვენეციაში დაბეჭდილი 6) ჩუბინოვის პატარა რუსული და ქართული სლავარი, 7) ქალმასობა იოანე ბატონიშვილისა, და პლატონ

იოსელიანის გამოცემული წიგნები და ქართული ჟურნალი „ცისკარი“ დაარსებიდამ ვიდრე მოსპობამდინ, ესე იგი 1852—1853 წლამდინ და შემდეგ 1857 წლიდამ, ვიდრე 1875 წლამდინ, ხოლო რამდენიმე ნომერი კი აკლია.

ფასის გაგება ექვთიმე ხელაძის სტამბაში შეიძლება.

(5—3)

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეკარ მე თფილისის ქალაქის ბამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმევის სახეჯვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირავები კანტორა ერევნის მეიდანზედ, ალავერდოვის სახლში სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უპრავას გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან დოვლათბეგოვი

მოსწავლე უფროსის კლასისა ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტისა **ამზადებს უმაწვილებს** ყოველ გვარ სასწავლებელში.

იკითხეთ „დროების“ რედაქციაში.

(2—2)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ
და სამზღვარ გარეთ:		
ლია წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 18 ივნისს		
ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	78
პარიჟში 267 სანტიმი.	—	81
მსკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	94	—
მოგებიანი (პირველისესხი)	214	25
მოგებიანი (მეორე ესესხი)	208	25
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	83	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
ქავკაზის და მერკურის. .	203	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	735	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	ჭან	კაპ
თფილისი, 21 ივნისს		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	25
ფქვილი წითელი. . .	1	—
ქერი ფუთი. . . .	—	70
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი. .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთ.	7	80
მატყლი თუშური ფუთ.	6	—
— თარაქამისა ფუთ. .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	20
ქონი, ფუთი. . .	5	50
ქონის სანთელი ფუთი.	6	20
სტეარინის სანთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	72
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, გრადუზი .	—	12
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	7	50
ყავა გრგვალი, ფუთი .	25	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	9	—
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	60

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.